

დოკუმენტი შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)

პროექტის ENPARD – 2 ფარგლებში

აჭარის მაღალმთიანეთში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი

პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

2018 წელი

I. შესავალი

პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგია გახდა აჭარის მაღალმთიან რეგიონში შრომის ბაზრის კვლევის სფუძველი. შრომის ბაზრის კვლევა პროექტის ეროვნულ კონსულტანტთან ერთად ჩაატარა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ - პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსი“. პროექტის ფარგლებში შეთავაზებული მიდგომები და მეთოდოლოგია ეხებოდა შრომის ბაზრის მხოლოდ სეგმენტურ კვლევას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მომავალი 3 წლის განმავლობაში მოთხოვნადი პროფესიების და ამ პროფესიების მიხედვით საჭირო ცოდნის/უნარების განსაზღვრა აჭარის ოთხ მუნიციპალიტეტში: ქედა, ხულო, შუახევი და ხელვაჩაური.

კვლევისთვის ძირითადი მიდგომების ჩამოყალიბება განაპირობა შემდეგმა სპეციფიკურმა ფაქტორებმა:

1. შრომის ბაზრის მხოლოდ სეგმენტური კვლევის ჩატარება;
2. შრომის ბაზრის სეგმენტური კვლევის მიზანი - მოთხოვნადი პროფესიების და ამ პროფესიების მიხედვით საჭირო ცოდნის/უნარების განსაზღვრა აჭარის ოთხ მუნიციპალიტეტში: ქედა, ხულო, შუახევი და ხელვაჩაური;
3. აჭარის მაღალმთიანეთში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა სიმცირე;
4. აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) რეგისტრირებული ბიზნეს-სუბიექტების სიმცირე - მხოლოდ 5%-ია მთელი აჭარიდან;
5. აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების მცირე რაოდენობა (მხოლოდ 11%);
6. შრომის ბაზრის სეგმენტური კვლევის ჩატარება არა კვლევითი ორგანიზაციის, არამედ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
7. კვლევის ჩასატარებლად გამოყოფილი შეზღუდული დრო.

ზემოთქმულიდან გაკეთებული დასკვნის შესაბამისად, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (ე.ი. პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსი“), პროექტის ეროვნული კონსულტანტის ხელმძღვანელობით შრომის ბაზრის ანალიზი ჩაატარა კვლევის თვისობრივი მეთოდის გამოყენებით.

თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევისას გამოყენებულ იქნა ერთდროულად რამდენიმე კვლევითი ტექნიკა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სხვადასხვა კუთხით დაგვენახა ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ფენომენი.

თვისებრივი მეთოდებით კვლევისას გამოყენებულ იქნა:

- სიღრმისეული ინტერვიუ
- ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური ინტერვიუ.

კვლევა ჩატარდა რამდენიმე ეტაპად:

- ✚ გამოკვლევის პროგრამის შემუშავება
- ✚ საველე ეტაპი, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის შეგროვება
- ✚ ინფორმაციის დამუშავება
- ✚ მიღებული შედეგების ანალიზი
- ✚ კვლევის ანგარიშის მომზადება.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუების სახით. ის მიზნად ისახავდა რესპონდენტებისგან დეტალური, ღრმა და თანამიმდევრული ინფორმაციის მიღებას. სიღრმისეული ინტერვიუ წარიმართა შემდეგი ფაზების მიხედვით: პრეინტერვიუ, თავად ინტერვიუ (ინტერვიუ) და პოსტინტერვიუ.

სიღრმისეული ინტერვიუ პროექტის ეროვნული კონსულტანტის ხელმძღვანელობით ჩატარა პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლებმა, რომლებიც მუშაობდნენ გამოკვლევის პროგრამის შედგენაზეც.

სიღრმისეული ინტერვიუს მსვლელობისას წამოიწია ახალმა თემებმა, რომლებიც აქტუალური იყო გამოკვლევისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული კვლევის დაგეგმვის ეტაპზე.

სიღრმისეული ინტერვიუ “ღია” კითხვებზე დაყრდნობით წარიმართა, ანუ ისეთ კითხვებზე, რომლებიც არ სთავაზობდნენ რესპონდენტებს პასუხის შესაძლო ვარიანტებს. ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას რესპონდენტებს სრული თავისუფლება ენიჭებოდათ საკუთარი აზრის გამოხატვისას, მკვლევარი არანაირად არ “უბიძგებდა” მათ გარკვეული კატეგორიის პასუხებისკენ.

ფოკუს-ჯგუფის დროს ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტს ვესაუბრებოდით. ჩვენი მიზანი იყო, ხელი შეგვეწყო მათ შორის აზრთა გაცვლისთვის- ჯგუფური დისკუსიისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა 8-დან 10-მდე მერყეობდა. რესპონდენტთა რაოდენობის მკაცრი შეზღუდვა იმით აიხსნება, რომ ფოკუს-ჯგუფის მსვლელობაში მის ყველა მონაწილეს მიეცა თავისი აზრის თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალება.

ფოკუს-ჯგუფების ჩატარებამ სერიოზულ მომზადება მოითხოვა, რაც გულისხმობდა თემის წინასწარ შესწავლას, გამოკვლევის პროგრამის და სადისკუსიო გეგმის შემუშავებას, აგრეთვე, ჯგუფის ჩატარების ტექნიკური მხარეების უზრუნველყოფას.

ძირითადი მიგნებები

თვისებრივი კვლევის შედეგად საკვლევ ტერიტორიაზე, დადგენილი პრიორიტეტული სფეროების მიხედვით დადგინდა მომავალი 3 წლის განმავლობაში შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიები:

სფერო	ქედა	შუახევი	ხულო	ხელვაჩაური
სოფლის მეურნეობა	მეფუტკრე; მეთევზე; მევენახე- მეღვინე	მეფუტკრე; სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსი ვეტერინარ- ზოოტექნიკოსი	მეცხოველე; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	მეფუტკრე; მეთევზე
ტურიზმი	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; საფეხმავლო გამყოლი	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; საფეხმავლო გამყოლი; ადგილობრივი გიდი;	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; საფეხმავლო გამყოლი; სამთო გამყოლი;	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; ადგილობრივი გიდი; საფეხმავლო გამყოლი; მზარეული

		სამკურნალო ტურიზმის სპეციალიტი; მზარეული	სამკურნალო ტურიზმის სპეციალისტი; მზარეული	
მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტები)	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); ელექტრიკოსი; რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ზეინკალ- სანტექნიკოსი	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); მძიმე ტექნიკის ოპერატორი; ელექტრიკოსი; რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ზეინკალ- სანტექნიკოსი	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); მძიმე ტექნიკის ოპერატორი; ელექტრიკოსი; რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ზეინკალ- სანტექნიკოსი	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); საავტომობილო გზების მშენებელი

II. მომზადება შრომის ბაზრის კვლევისთვის

შრომის ბაზრის კვლევა დაიყო სამ ნაწილად:

- კვლევის ინსტრუმენტარიუმის მომზადება დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გზით
- დამსაქმებლებთან (დამსაქმებელთა გაერთიანება), პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის წარმართვა
- მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

შრომის ბაზრის კვლევის მოსამზადებელ ეტაპს ჰქონდა რამდენიმე მიზანი:

- სპეციალისტების მომზადება შრომის ბაზრის კვლევისთვის
- კვლევასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ინტერესების და შეხედულებების სრული თანხვედრის უზრუნველყოფა
- ცალკეული სფეროს დამსაქმებელების წინასწარი მომზადება კვლევისთვის.

შრომის ბაზრის კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლების მომზადება შრომის ბაზრის კვლევისთვის. მომზადება განხორციელდა რამდენიმე ეტაპად. გამოყენებულ იქნა სემინარის, ტრენინგის და დისკუსიის მეთოდი.

შრომის ბაზრის კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობას იღებდა პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები:

- ❖ დირექტორის მოადგილე
- ❖ დირექტორის თანაშემწე
- ❖ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
- ❖ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
- ❖ რეესტრის წარმომადგენლის სპეციალისტი
- ❖ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი
- ❖ პროფესიული განათლების მასწავლებელი.

შრომის ბაზრის კვლევისთვის პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მომზადება განხორციელდა შემდეგი თემების მიხედვით:

- აჭარის სოფლებში შრომის ბაზრის კვლევის ძირითადი მიდგომები
- აჭარის სოფლებში შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია
- თვისებრივი კვლევის ძირითადი ტექნიკები
- კითხვარის შედგენა ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის
- კითხვარის შედგენა ფოკუს ჯგუფებისთვის
- დამსაქმებელთა კითხვარის შედგენა
- მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და შედეგები.

შრომის ბაზრის კვლევისთვის მომზადების ეტაპზე განხორციელდა:

- პრეინტერვიუები მომავალ რესპოდენტებთან
- კვლევასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ინტერესების და შეხედულებების სრული თანხვედრის უზრუნველყოფა

- „დაინტერესებულ მხარეთა ფოკუს ჯგუფის“ შემადგენლობის ფორმირება
- „თანამშრომლობის ფოკუს ჯგუფის“ ფორმირება
- „დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის“ ფორმირება
- ცალკეული სფეროს დამსაქმებლების წინასწარი მომზადება კვლევისთვის
- კითხვარის შედგენა ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის
- კითხვარის შედგენა ფოკუს ჯგუფებისთვის.

III. საველე სამუშაოების ჩატარება

საველე სამუშაოების მოსამზადებელი პირველი ეტაპი:

აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რისკების მინიმიზირების მიზნით ჩატარდა „ჩაღრმავებული ინტერვიუ“ მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან:

- ✚ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში
- ✚ აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი
- ✚ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, მინისტრის მოადგილე
- ✚ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
- ✚ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
- ✚ ქედის მუნიციპალიტეტის მერი
- ✚ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი

- ✚ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

- ✚ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის უფროსი.

„ჩაღრმავებული ინტერვიუს“ ჩატარების ძირითადი მიზანი და ამოცანები იყო:

- ✚ საკვლევ ტერიტორიაზე ხელისუფლების მიერ დადგენილი პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა
- ✚ საკვლევ ტერიტორიაზე განსაზღვრა პრიორიტეტული სფეროების, რომელშიც მომავალში (3 წელი) განთავსდება უცხოური სახელმწიფო/კერძო ინვესტიციები
- ✚ საკვლევ ტერიტორიაზე განსაზღვრა პრიორიტეტული სფეროების, რომელშიც მომავალში (3 წელი) განთავსდება საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციები
- ✚ საკვლევ ტერიტორიაზე განსაზღვრა პრიორიტეტული სფეროების, რომელშიც მომავალში (3 წელი) განთავსდება ადგილობრივი კერძო ინვესტიციები
- ✚ საკვლევ ტერიტორიაზე განსაზღვრა პრიორიტეტული სფეროების, რომელშიც მომავალში (1-2 წელი) განხორციელდება სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსებული პროექტები.

აღნიშნული ეტაპის ჩატარების შემდეგ მკვლევარებმა მივიღეთ იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე გამოკვლევის პროგრამით იყო განსაზღვრული. რესპოდენტებმა დაასახელეს და დეტალურად აღწერეს მრავალი, კვლევის პროცესში მყოფი მსხვილმასშტაბიანი პროექტი, რომელშიც 2-3 წლის შემდეგ განხორციელდება უცხოური კაპიტალის ინვესტირება. ამ კვლევის შედეგად განისაზღვრა ასევე პრიორიტეტული სფეროების შესაბამისი მოთხოვნადი პროფესიები და ამ პროფესიების სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

საკვლე სამუშაოების მოსამზადებელი მეორე ეტაპი:

მას შემდეგ, რაც პირველი ეტაპის შემდეგ დადგინდა სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები, ჩატარდა „დაინტერესებულ მხარეთა ფოკუს ჯგუფი“.

აჭარის „დაინტერესებულ მხარეთა ფოკუს ჯგუფს“ ჰქონდა ასეთი სახე:

- აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი
- აჭარის დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელი
- კერძო დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელი
- კონკრეტული სფეროს მსხვილი დამსაქმებლების წარმომადგენლები
- აჭარის პროფესიული კავშირების წარმომადგენელი
- აჭარის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ფოკუს-ჯგუფში განსახილველი საკითხები იყო:

- ❖ საკვლევ სფეროში/სფეროებში ადამიანური რესურსების აყვანა-გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ ადამიანური რესურსების პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის შეფასების პრობლემები;
- ❖ საკვლევ სფეროში/სფეროებში შრომის ბაზრის მოსალოდნელ და მიმდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები.
- ❖ საკვლევ სფეროში/სფეროებში ფუნქციონირებადი საწარმოების ძირითადი მახასიათებლები.

საველე სამუშაოების მოსამზადებელი მესამე ეტაპი

პირველ და მეორე ეტაპზე ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის სხდომის შემდეგ გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომელიც სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვდა ერთი მხრივ, მუნიციპალურ დონეზე, მეორე მხრივ კი ამ კონკრეტული სფეროების დამსაქმებლების მხრიდან.

დამსაქმებელთა და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისგან შედგა 3 „თანამშრომლობის ფოკუს ჯგუფი“.

„თანამშრომლობის ჯგუფის“ ძირითადი მიზანი იყო:

- საკუთარ სფეროში დამსაქმებულთან დიალოგის დამყარებისათვის აუცილებელი ინტერუმენტარიუმის ჩამოყალიბება.

თითოეულ ჯგუფში დამსაქმებელთა წარმომადგენლები (2 ან 3) შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილება
- წარმომადგენლობა საწარმოს ზომის შესაბამისად (მცირე საწარმო ითხოვს მომუშავეთა მრავალმხრივ, ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავებულ კომპეტენციებს)
- მოცემული სფეროს შესახებ მაღალი ინფორმირებულობა, მათ შორის მოსალოდნელ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით
- საწარმოს არსებული მდგომარეობის, მომავალი სტრატეგიის და ტაქტიკის შესახებ ცოდნა და გათვინობიერება
- მოცემული სფეროს მიხედვით შრომის ბაზრის კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება (სასურველი)

შენიშვნა - უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს წარმომადგენლები არ იყვნენ საკვლევი ტერიტორიიდან (ჩვენ შემთხვევაში აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მოქმედი საწარმოებიდან). ისინი იყვნენ ამ სფეროს წარმატებული და პერსპექტიულ საწარმოთა წარმომადგენლები ბათუმიდან.

კითხვარის შემუშავება განხორციელდა „თანამშრომლობის ჯგუფის“ მიერ.

კითხვარის სტრუქტურა შედგება სამი ნაწილისგან: I. ზოგადი კითხვები II. პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული კითხვები III. პიროვნულ და ფუნქციურ უნარებთან დაკავშირებული კითხვები.

პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული კითხვები. კითხვარის ამ ნაწილში შედის ყველაზე საკვანძო კითხვები:

- მოთხოვნადი ცოდნა და უნარები
- მოთხოვნადი ცოდნა/უნარების ფარდობითი მნიშვნელობა
- ცოდნა/უნარების პროფილის ცვლილებების პროგნოზირება

კითხვარის ამ ნაწილში დგინდება შესაბამისობა კურსდამთავრებულების შესაძლო უნარებს და კურსდამთავრებულების უნარებთან დაკავშირებით დამსაქმებლის მოლოდინებს შორის.

ამავე ეტაპზე ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების (3 ფოკუს ჯგუფი) სხდომები თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე. თითოეულ ფოკუს ჯგუფში შედიოდა ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურების უფროსები, დემოკრატიის ინტიტუტის ადგილობრივი ოფისების ხელმძღვანელები (ქედა), LAG-ისა და ამაგებ-ის წარმომადგენლები. ამ ფოკუს-ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო:

- ✓ საკვლევ ტერიტორიაზე ხელისუფლების მიერ დადგენილი პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა
- ✓ საკვლევ ტერიტორიაზე პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა, რომელშიც მომავალში (1-2 წელი) განხორციელდება მუნიციპალური პროგრამები
- ✓ საკვლევ ტერიტორიაზე პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა, რომელშიც მომავალში (2-3 წელი) განთავსდება ადგილობრივი კერძო ინვესტიციები
- ✓ საკვლევ ტერიტორიაზე პრიორიტეტული სფეროების შესაბამისი მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრა
- ✓ საკვლევ ტერიტორიაზე პრიორიტეტული სფეროებსა და შესაბამის მოთხოვნად პროფესიებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება

- ✓ საკვლევ ტერიტორიაზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი პროფესიული სწავლების ან პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსების ჩატარების შესაძლებლობების განსაზღვრა
- ✓ მოთხოვნადი პროფესიების შესაბამის პროფესიულ სწავლებასა ან პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსებში ზრდასრული მოსახლეობის მონაწილეობის მზაობის განსაზღვრა.

საკვლე სამუშაოების მოსამზადებელი მეოთხე ეტაპი

უკვე დადგენილი პრიორიტეტული სფეროების მიხედვით შესაბამისი პროფესიების საბოლოო დადგენა განხორციელდა აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მოქმედი ყველა ბიზნეს სუბიექტის მიერ, თუმცა მათი რაოდენობა საკმაოდ შეზღუდული იყო. გამოყენებული იქნა ე.წ. მარტივი „დამსაქმებლის კითხვარი“, რომლის მიხედვით განისაზღვრა მოთხოვნადი პროფესიები. უნდა ითქვას, რომ კვლევის ეს ეტაპი ნაკლებ ინფორმატიული იყო.

საკვლე სამუშაოების ჩატარება დამსაქმებლებთან

რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა უშუალოდ საწარმომ, წინასწარ პროფესიულ კოლექტთან შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით:

- ✚ მე-4 ან მე-5 საფეხურის მაღალკვალიფიციური თანამშრომელი
- ✚ მენეჯმენტის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნდა ღრმა პროფესიული ცოდნა და თავისი ხედვა მოცემული პროფესიების განვითარებასთან დაკავშირებით
- ✚ ზოგიერთ შემთხვევაში რესპოდენტად შერჩეულ იქნა ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული არანაკლებ 2-3 წლის მუშაობის სტაჟით.

IV. შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზი

კვლევის შედეგების დამუშავებასა და ანალიზში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული კოლექტის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩართული იყვნენ კითხვარის შემუშავებაში და რომლებმაც ჩაატარეს ინტერვიუები.

კვლევის შედეგების ანალიზის დროს განხორციელდა სხვადასხვა უნარის მნიშვნელოვნების გრადაციის დადგენა. მონაცემები დამუშავდა შრომითი ოპერაციების სირთულის გრადაციის, ასევე სიხშირის გრადაციის მიხედვით.

კვლევის შედეგების დამუშავება განხორციელდა ხელით.

დამუშავებული მონაცემების ანალიზის დროს მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- კვლევაში ჩართული მოთხოვნადი პროფესიებისთვის კომპეტენციების პროფილი, რაც წარმოადგენს მოთხოვნად უნარებზე დამსაქმებლების განზოგადებულ ხედვებს
- შეუსაბამობის გამოვლენა კომპეტენციების პროფილსა და სამუშაო ძალის არსებულ კომპეტენციებს შორის
- გასაშუალებული კომპეტენციების პროფილის შედგენა
- კონკრეტულ პროფესიებთან დაკავშირებით დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულთა პროფესიულ ცოდნა/უნარებს შორის შეუსაბამობის განსაზღვრა.

V. საველე სამუშაოების მოსამზადებელი პირველი ეტაპის შედეგები

პირველ ეტაპზე დადგინდა, რომ სამეურნეო საქმიანობის 2 სფერო - სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ტრადიციულად იყო განვითარებული აჭარის მთიანეთში (ქედა, შუახევი, ხულო). ძალზე განსხვავებული იყო მდგომარეობა ხელვაჩაურში. აქ სოფლის მეურნეობის და ტურიზმის გარდა, სამრეწველო საწარმოები ფუნქციონირებდნენ.

ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის სფეროდან განვითარებული იყო შემდეგი მიმართულებები:

- მევენახეობა-მელვინეობა
- მეთამბაქოეობა
- მეაბრეშუმეობა
- მეცხოველეობა
- მეფუტკრეობა
- მეფრინველეობა

ამჟამად, ამავე მუნიციპალიტეტებში ძირითადი საქმიანობა ხორციელდება 3 სფეროს მიხედვით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტები). ხელვაჩაურში დამატებით სამრეწველო საწარმოები ფუნქციონირებენ.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მომავალი სამი წლის განმავლობაში უცხოური (საერთაშორისო, სახელმწიფო/კერძო) ინვესტიციები (პროგრამები) აჭარის მთიანეთსა და ხელვაჩაურში განხორციელდება 3 სფეროში:

I - სოფლის მეურნეობა

II - ტურიზმი (სპორტის ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, სოფლის ტურიზმი, სამკურნალო, სათავგადასავლო ტურიზმი, სათხილამურო)

III - მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტები).

მომავალში მხოლოდ მშენებლობის სფეროში განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ინვესტიციები (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროგრამების სახით). რაც შეეხება ადგილობრივ კერძო ინვესტიციების დაბანდების საკითხს აჭარის მთიანეთში, ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არსებობს მხოლოდ უარყოფითი პასუხი.

ზემოთქმულისგან განსხვავებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ასევე მუნიციპალური პროგრამები განხორციელდება სამ სფეროში:

I - სოფლის მეურნეობა

II - ტურიზმი

III - მშენებლობა - საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტების სახით.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ აჭარის მთიანეთში სოფლის მეურნეობის სფეროში რეგისტრირებული და ფუნქციონირებადი ბიზნეს სუბიექტების მაჩვენებლები ასეთია:

რაოდენობა	მცირე 3-4
სიდიდე	მცირე
საქმიანობის ხარისხი	საშუალო

რაც შეეხება არარეგისტრირებულ ფერმერულ მეურნეობებს, მათი მაჩვენებლები ასეთია:

რაოდენობა	საშუალო
სიდიდე	ძალზე მცირე
საქმიანობის ხარისხი	დაბალი

აჭარის მთიანეთში ტურიზმის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მაჩვენებლები:

რაოდენობა	მცირე
სიდიდე	მცირე
საქმიანობის ხარისხი	დაბალი

აჭარის მთიანეთში (ქედა, შუახევი, ხულო) მშენებლობის სფეროში (მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები) რეგისტრირებული და მოქმედი ორგანიზაციების მაჩვენებლები ასეთია:

რაოდენობა	მცირე
სიდიდე	მცირე
საქმიანობის ხარისხი	დაბალი ან საშუალო

ამ მუნიციპალიტეტებში მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ ბათუმში მოქმედი 2-3 და ასევე თბილისში რეგისტრირებული სამშენებლო (დეველოპერული) კომპანიები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები მიუთითებენ, რომ მომავალი 2-3 წლის განმავლობაში მთლიან აჭარაში სოფლის მეურნეობის სფეროში პრიორიტეტული იქნება შემდეგი პროფესიები:

- მეთევზე და იქტიოლოგი
- მევენახე-მეღვინე
- მეფუტკრე
- მემცენარე (კენკროვანი)

აჭარის მთიანეთსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში პრიორიტეტული პროფესიები სრულად მოცემულია ცხრილში:

სფერო	ქედა	შუახევი	ხულო	ხელვაჩაური
სოფლის მეურნეობა	მეფუტკრე; მეთევზე; მევენახე- მეღვინე	მეფუტკრე; მეხილე (სანერგე) მეცხოველე; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	მეცხოველე; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	მეფუტკრე; მეთევზე

ტურიზმი	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; საფეხმავლო გამყოლი	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; საფეხმავლო გამყოლი; სამკურნალო ტურიზმის სპეციალისტი; მზარეული	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; საფეხმავლო გამყოლი; სამთო გამყოლი; სამკურნალო ტურიზმის სპეციალისტი; მზარეული	საოჯახო სასტუმროს მენეჯერი; ადგილობრივი გიდი; საფეხმავლო გამყოლი; მზარეული
მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტები)	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); საავტომობილო გზების მშენებელი; ელექტრიკოსი; რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ზეინკალ- სანტექნიკოსი	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); საავტომობილო გზების მშენებელი; მძიმე ტექნიკის ოპერატორი; ელექტრიკოსი; რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ზეინკალ- სანტექნიკოსი	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); საავტომობილო გზების მშენებელი; მძიმე ტექნიკის ოპერატორი; ელექტრიკოსი; რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ზეინკალ- სანტექნიკოსი	წყალმომარაგება- წყალარინების სპეციალისტი; შემდუღებელი (გაზიფიცირება); საავტომობილო გზების მშენებელი

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მომავალი 2-3 წლის განმავლობაში ოთხივე მუნიციპალიტეტში აქტუალურია კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა და შესაბამისად პროფესიული სწავლებისა და მომზადება/გადამზადების კურსების ჩატარების

აუცილებლობა. თუმცა, ამის არც ინსტიტუციური და არც რესურსული (მათ შორის ადამიანური) შესაძლებლობები ამჟამად არცერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს:

დასახელება	ქედა	შუახევი	ხულო	ხელვაჩაური
პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებელი	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს
პედაგოგები	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს

შენიშვნა - გამონაკლისს წარმოადგენს ხულოში ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის („ახალი ტალღა“) ფილიალის გახსნის გადაწყვეტილება.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, რომ მომავალ პროფესიულ სტუდენტებს და მსმენელებს (ზრდასრული მოსახლეობა) ექნებოდათ თუ არა შესაძლებლობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კურსი გაეგლოთ ამ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ და მოქმედ კომპანიებში. ამ მიმართულებითაც საკმაოდ სავალალო მდგომარეობაა, რაზეც მიუთითებს ქვემოთ ცხრილი:

სოფლის მეურნეობა	საშუალო რაოდენობა
ტურიზმი	მცირე რაოდენობა
ინფრასტრუქტურული	მცირე რაოდენობა

საველე სამუშაოების მოსამზადებელი მეორე ეტაპის შედეგები

ჩატარდა ფოკუს ჯგუფების შეხვედრა სფეროების მიხედვით (მშენებლობა; ტურიზმი და სოფლის მეურნეობა/სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა), სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- საკვლევ სფეროებში კადრების აყვანა-გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- კადრების პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის შეფასების პრობლემები;
- რეგიონში პროფესიებზე მოსალოდნელ და მიმდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები.

- რეგიონში რეგისტრირებული და ფუნქციონირებადი საწარმოები, ფერმერული ორგანიზაციები, საქმიანობის ძირითადი სახეების და მომუშავეთა რიცხოვნობის ჩვენებით.
- რეგიონში მოქმედი კავშირები და ასოციაციები.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკვლევა ჩატარდა სამ ფოკუს-ჯგუფში:

1. სოფლის მეურნეობა/სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა;
2. ტურიზმი, სასტუმრო-სარესტორნო საქმე;
3. მშენებლობა.

შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:

- ზემოთაღნიშნულ დარგებში კადრების აყვანა-გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- კადრების პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის შეფასების პრობლემები;
- რეგიონში პროფესიებზე მოსალოდნელი და მიმდინარე მოთხოვნა.
- დასაქმების კლასიფიკატორის (პროფესიების კლასიფიკატორის) განხილვა.

სოფლის მეურნეობის სფეროში ფოკუს-ჯგუფის შეკრებამ გამოკვეთა, რომ სოფლის მეურნეობაში მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა მცირეა და ხშირად უცვლელია. სეზონურად ფერმერების მიერ ხდება კადრების აყვანა, რომელთა პროფესიონალიზმი ხშირ შემთხვევაში საეჭვოა. კადრების პროფესიონალიზმის საკითხს დიდი ყურადღება არ ექცევა, ასევე ყურადღება არ ექცევა მათი პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, სასურველი იქნებოდა ჰყოლოდათ ან არსებობდეს უახლესი, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შემუშავებული პროფესიული პროგრამების შესაბამისად მომზადებული მუშახელი; ასევე სასურველი იქნებოდა, თუ მუდმივად მოხდება ცოდნის განახლება თანამედროვე ტექნოლოგიებში და ხარისხის დაცვის მექანიზმებში. პროფესიებზე მოთხოვნის თვალსაზრისით ამჟამად მოთხოვნა არსებობს ვეტერინარებზე, ცხოველების მომვლელებზე, მემცენარეებზე (კენკროვნები, სანერგე), იქტიოლოგებზე. განსაკუთრებით ხაზე გაესვა თევზის დაავადებების დიაგნოსტიკების და მკურნალობის პროცესში არსებულ სირთულეებს. აღინიშნა, რომ მთელს აჭრაში თითქმის რა არსებობს იქტიოპათოლოგი.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მოთხოვნადი პროფესიების დასახელებას არა აქვს შეცვლის ტენდენცია და ამ ეტაპზე მოთხოვნადი პროფესიების რაოდენობაც შენარჩუნებული იქნება მომავალი 2-3 წლის განმავლობაში, მაგრამ ოდნავი ზრდის პირობებში.

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში გამოიკვეთა, რომ ბოლო წლებში, გადამამუშავებელი წარმოება სეზონურ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა სასურველია, მაღალპროფესიული კადრები, რომლებიც უახლესი სტანდარტების მიხედვით იქნებიან მომზადებული და ექნებათ სამუშაო გამოცდილება. თუმცა, დარგის სეზონურობა იწვევს კადრების დენადობას, ეს საკითხი კი ცუდად მოქმედებს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

განსხვავებულია კადრების აყვანა-გათავისუფლების საკითხები რძის გადამამუშავებელ საწარმოებში, რომლებიც ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა. აქ სამუშაო სტაბილურია. თუმცა, იმის გამო რომ დარგი ფაქტიურად ახალია, კადრების არაპროფესიონალიზმი თვალშისაცემია.

პროფესიებზე მიმდინარე და მოსალოდნელი (მომდევნო 1-2 წელი) მოთხოვნები ასეთია: მევენახე, ხილის გადამამუშავებელი, რძის გადამამუშავებელი, მეღვინე.

ტურიზმის სფეროს ფოკუს-ჯგუფმა განიხილა დარგში არსებული მდგომარეობა და ერთხმად იქნა აღიარებული ის, რომ მომსახურების ზოგადი კულტურა რეგიონში ძალიან დაბალია და ამიტომ ხდება კადრების ხშირი ცვლა. დარგში არსებული მძლავრი ორგანიზაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად პერიოდულად ახორციელებენ გადამზადებებს და ტრენინგებს. რესპოდენტები ერთხმად აფიქსირებენ აზრს, რომცალკე განსახილველი საკითხია საოჯახო სასტუმროები. აქ არსებობს ერთი მხრივ უცხო ენის არცოდნის პრობლემა, მეორე მხრივ კი მართვის საკითხების დიდი პრობლემები. აღსანიშნავია, რომ საოჯახო სასტუმროების დიდი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ ინსტიტუციურ სტანდარტს (საუბარია დამკვიდრებულ, არაოფიციალურ სტანდარტზე). ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზულია ტურიზმის დეპარტამენტის საქმიანობა, რომლებსაც გააჩნიათ ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადების პრიორიტეტი და საკმაოდ ინტენსიურად ახორციელებენ გადამზადების კურსებს-ძირითადად ინგლისური ენა და მომსახურების თემები. ჯგუფის წევრების აზრით, მოსალოდნელი ინვესტიციებიდან გამომდინარე, მომავალი 2-3 წლის განმავლობაში ძალზე მოთხოვნადი იქნება სწავლება და გადამზადება შემდეგი პროფესიების მიხედვით: საოჯახო

სასტუმროს მენეჯერი, სარესტორნო საქმის სპეციალისტი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, საფეხმავლო გამყოლი, სამთო გამყოლი (ხულოში), მზარეული.

სამშენებლო სფეროს ფოკუს-ჯგუფმა განიხილა დარგში არსებული მდგომარეობა და აღნიშნა, რომ სატენდერო სისტემა აიძულებს სამშენებლო კომპანიებს სეზონურად აიყვანონ სპეციალისტები და მისცენ შედარებით დაბალი ანაზღაურება, რაც განაპირობებს კადრების დენადობას. აღნიშნულ ჯგუფში დაფიქსირდა აზრი, რომ უნდა არსებობდეს სპეცილისტის კვალიფიციურობის დამადასტურებელი რაიმე მექანიზმი (სერთიფიკატი). ამჟამად დარგში არსებობს მოთხოვნა სპეციალისტებზე და მისი ზრდა მოხდება ინფრასტრუქტურულ სფეროში მოსალოდნელი ინვესტიციების დაბანდების შედეგად. წყალმომარაგების, გაზიფიცირების და საავტომობილო გზების მასშტაბური პროექტები აუცილებლად მოითხოვს ამ მიმართულებით მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდებას და შესაბამისი პროფესიული სწავლების და მომზადება/გადამზადების კურსების ჩატარების აუცილებლობას.

დასაქმების კლასიფიკატორის განხილვამ ფოკუსურ ჯგუფებში დიდი ინტერესი გამოიწვია და დადებითი გავლენა იქონია გამოკითხვის პროცესზე. მონაწილეთა უმრავლესობისათვის ახალ კლასიფიკატორში მოცემული ინფორმაცია უცნობი იყო. ზოგადმა და დაწვრილებითმა ინფორმაციამ პროფესიების ჩამონათვალის შესახებ შესამჩნევად გააადვილა მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიღება.

საველე სამუშაოების მოსამზადებელი მესამე ეტაპი

ეს ეტაპი ჩატარდა მუნიციპალურ დონეზე, ფოკუს ჯგუფების შექმნით.

ქედის მუნიციპალიტეტი

ფოკუს ჯგუფში შედიოდნენ: დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი და მოადგილე, დემოკრატიის ინსტიტუტის საგრანტო კომპონენტის ხელმძღვანელი, ზრდასრულთა

განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, ამაგ-ის 5 წევრი, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG)-ის თავმჯდომარე, LAG-ის 2 წევრი, მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი.

ფოკუს ჯგუფის წევრების აზრით ქედის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად განვითარებული იყო სამეურნეო საქმიანობის 2 სფერო: სოფლის მეურნეობა (მევენახეობა, მეფუტკრეობა) და მრეწველობა (მსუბუქი, გადამამუშავებელი).

ამჟამად მუნიციპალიტეტში ძირითადად გამოკვეთილია 2 სფერო: ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტებიც, თუმცა ისინი ისეთი მასშტაბური არ არის, რომ ცალკე აღნიშვნის საგანი გახდეს.

ფოკუს ჯგუფში გამართული დისკუსიისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ LAG-ისა და ამაგ-ების წევრები არ არიან ინფორმირებული მომავალში (1-2 წელი) განსახორციელებელი მუნიციპალური პროექტების შესახებ, არ მიუღიათ მონაწილეობა მათ შემუშავებაში და ასევე არ იციან მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები.

ფოკუს ჯგუფის წევრებმა ერთხმად აღიარეს, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში ტურიზმი და სოფლის მეურნეობა იქნება სამეურნეო საქმიანობის ის 2 სფერო, რომელშიც განხორციელდება ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები, რაც მოიტანს საკმაო რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და შესაბამისად შრომის ბაზარზე დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობას. პრიორიტეტად დასახელდა ასევე მშენებლობის სფეროც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა შესაძლოა უარი თქვან ადგილობრივი, თუნდაც კვალიფიციური სამუშაო ძალი დასაქმებაზე, რასაც მათ საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს.

სამწუხაროა, რომ მიუხედავად გამოკვეთილი პრიორიტეტებისა, ამჟამად სოფლის მეურნეობის სფეროში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს მხოლოდ მცირე რაოდენობის რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომელთა სიდიდე და საქმიანობის ხარისხი „დაბალი“ ან „საშუალო“ იქნა შეფასებული. ტურიზმის სფეროში ძირითადად ფუნქციონირებენ საოჯახო სასტუმროები, რომლებიც არარეგისტრირებულები არიან და უმეტესად ჰყავთ არაკვალიფიციური პერსონალი (ძირითადად ოჯახის წევრები). რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ადგილობრივი კომპანიები ძირითადად მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იმარჯვებენ. მათი სიდიდე და საქმიანობის ხარისხის „დაბალი“ მაჩვენებლით იქნა შეფასებული.

ფოკუს ჯგუფში გამართული დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები (შესაბამისად ისეთი პროფესიები), რომლებშიც მომავალი 3 წლის განმავლობაში განხორციელდება ქართული თუ უცხოური ინვესტიციები, რაც დამატებით ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის და შრომის ბაზარზე დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობას განაპირობებს:

- მევენახე-მეღვინე
- მეფუტკრე
- მეთევზე

დამატებით სასურველად ჩაითვალა აგრონომის პროფესიის (სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსი/ISCO-08-ის მიხედვით) არსებობა.

ტურიზმის სფეროში ფოკუს ჯგუფის მიერ დასახელდა პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადი იქნება შრომის ბაზარზე და მათ დასაუფლებლად აუცილებელი იქნება ცოდნისა და უნარების გადაცემა:

- საოჯახო სასტუმროს მენეჯერი
- სასტუმრო/სარესტორნო მომსახურების სპეციალისტი
- მზარეული
- საფეხმავლო გიდი
- ადგილობრივი გიდი.

მესამე პრიორიტეტულ სფეროში (ინფრასტრუქტურული პროექტები) გამოიკვეთა შემდეგი პროფესიები:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი
- შემდუღებელი
- მშენებლობის პროფესიები (ზეინკალ-სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი)

სამწუხაროდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მუნიციპალიტეტში არ არსებობს, რაც ამ ეტაპზე აღნიშნული პროფესიების მიხედვით კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების საშუალებას მოგვცემდა. ასევე სამწუხაროა ისიც, რომ პრიორიტეტული პროფესიების მიხედვით არ არსებობს პედაგოგიური კადრებიც. ასევე ძალზე მცირეა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს გაატარონ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა საკუთარი საწარმოს ბაზაზე.

ადგილობრივ მოსახლეობას (15 წლის ზემოთ და ზრდასრული) ექნება მზაობა ჩაერთოს სამივე პრიორიტეტული სფეროს პროფესიების როგორც სწავლების, ასევე მომზადება/გადამზადების პროცესში.

შუახვევის მუნიციპალიტეტი

ფოკუს ჯგუფში შედიოდნენ: ამაგ-ის 4 წევრი, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალისტი, დასაქმების სააგენტოს სპეციალისტი, მერიის არქიტექტორი.

ფოკუს ჯგუფის წევრების აზრით შუახვევის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად განვითარებული იყო სამეურნეო საქმიანობის მხოლოდ ერთი სფერო: სოფლის მეურნეობა.

ამჟამად მუნიციპალიტეტში ძირითადად გამოკვეთილია 2 სფერო: ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტებიც, თუმცა ისინი ისეთი მასშტაბური არ არის, რომ ცალკე აღნიშვნის საგანი გახდეს.

ფოკუს ჯგუფში გამართული დისკუსიისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ამაგ-ების წევრები ინფორმირებული არიან მომავალში (1-2 წელი) განსახორციელებელი მუნიციპალური პროექტების (ინფრასტრუქტურული, მცირე გადამამუშავებელი საწარმოები) შესახებ, თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებული ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტის გადაწყვეტილებებზე.

ფოკუს ჯგუფის წევრებმა ერთხმად აღიარეს, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში ტურიზმი, ინფრასტრუქტურული პროექტები და სოფლის მეურნეობა იქნება სამეურნეო საქმიანობის ის 3 სფერო, რომელშიც განხორციელდება ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები, რაც მოიტანს საკმაო რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და შესაბამისად შრომის ბაზარზე დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობას. ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა შესაძლოა უარი თქვან ადგილობრივი, თუნდაც კვალიფიციური სამუშაო ძალი დასაქმებაზე, რასაც მათ საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს.

სამწუხაროა, რომ მიუხედავად გამოკვეთილი პრიორიტეტებისა, ამჟამად სოფლის მეურნეობის სფეროში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოქმედებს რეგისტრირებული ორგანიზაციები, ხოლო არარეგისტრირებულ, მაგრამ მოქმედთა სიდიდე და საქმიანობის ხარისხი „დაბალი“ მაჩვენებლით იქნა შეფასებული. ტურიზმის სფეროში ძირითადად ფუნქციონირებენ საოჯახო სასტუმროები, რომლებიც არარეგისტრირებულები არიან და უმეტესად ჰყავთ არაკვალიფიციური პერსონალი (ძირითადად ოჯახის წევრები). რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი ადგილობრივი კომპანიების სიდიდე და საქმიანობის ხარისხის „დაბალი“ მაჩვენებლით იქნა შეფასებული.

ფოკუს ჯგუფში გამართული დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები (შესაბამისად ისეთი პროფესიები), რომლებშიც მომავალი 3 წლის განმავლობაში განხორციელდება ქართული თუ უცხოური ინვესტიციები, რაც დამატებით ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის და შრომის ბაზარზე დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობას განაპირობებს:

- სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსი (ISCO-08-ის მიხედვით)
- ვეტერინარ-ზოოტექნიკოსი
- მეფუტკრე

ტურიზმის სფეროში ფოკუს ჯგუფის მიერ დასახელდა პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადი იქნება შრომის ბაზარზე და მათ დასაუფლებლად აუცილებელი იქნება ცოდნისა და უნარების გადაცემა:

- საოჯახო სასტუმროს მენეჯერი
- სასტუმრო/სარესტორნო მომსახურების სპეციალისტი
- მზარეული
- სამკურნალო ტურიზმის სპეციალისტი
- საფეხმავლო გიდი
- ადგილობრივი გიდი.

მესამე პრიორიტეტულ სფეროში (ინფრასტრუქტურული პროექტები) გამოიკვეთა შემდეგი პროფესიები:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი
- შემდუღებელი

- მშენებლობის პროფესიები (ზეინკალ-სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი)

სამწუხაროდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მუნიციპალიტეტში არ არსებობს, რაც ამ ეტაპზე აღნიშნული პროფესიების მიხედვით კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების საშუალებას მოგვცემდა. ასევე სამწუხაროა ისიც, რომ პრიორიტეტული პროფესიების მიხედვით არ არსებობს პედაგოგიური კადრებიც, თუმცა შეიძლება მოიძებნოს ადგილზე სპეციალისტები, რომელთა სათანადო გადამზადების შემთხვევაში შეიძლება კვალიფიციური პედაგოგი მივიღოთ. ასევე ძალზე მცირეა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს გაატარონ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა საკუთარი საწარმოს ბაზაზე.

ადგილობრივ მოსახლეობას (15 წლის ზემოთ და ზრდასრული) ექნება მზაობა ჩაერთოს სამივე პრიორიტეტული სფეროს პროფესიების როგორც სწავლების, ასევე მომზადება/გადამზადების პროცესში.

ხულოს მუნიციპალიტეტი

ფოკუს ჯგუფში შედიოდნენ: ამაგ-ის 5 წევრი და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG)-ის 3 წევრი.

ფოკუს ჯგუფის წევრების აზრით ხულოს მუნიციპალიტეტში ტრადიციულად განვითარებული იყო სამეურნეო საქმიანობის 3 სფერო: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი (რეკრეაციული) და ხალხური რეწვა.

ამჟამად მუნიციპალიტეტში ძირითადად გამოკვეთილია 2 სფერო: ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტებიც, თუმცა ისინი ისეთი მასშტაბური არ არის, რომ ცალკე აღნიშვნის საგანი გახდეს.

ფოკუს ჯგუფში გამართული დისკუსიისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ამაგ-ების წევრები ინფორმირებული არიან მომავალში (1-2 წელი) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებზე, თუმცა განსახორციელებელი მუნიციპალური პროექტების შესახებ არ მათ და არც LAG-ის წევრებს ინფორმაცია არ გააჩნიათ.

ფოკუს ჯგუფის წევრებმა ერთხმად აღიარეს, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში ტურიზმი, ინფრასტრუქტურული პროექტები და სოფლის მეურნეობა იქნება სამეურნეო

საქმიანობის ის 3 სფერო, რომელშიც განხორციელდება ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები, რაც მოიტანს საკმაო რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და შესაბამისად შრომის ბაზარზე დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობას.

მიუხედავად გამოკვეთილი პრიორიტეტებისა, ამჟამად სოფლის მეურნეობის სფეროში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს მცირე რაოდენობით რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომელთა სიდიდე და საქმიანობის ხარისხი „დაბალი“ მაჩვენებლით იქნა შეფასებული. ტურიზმის სფეროში ძირითადად ფუნქციონირებენ საოჯახო სასტუმროები, რომლებიც არარეგისტრირებულები არიან და უმეტესად ჰყავთ არაკვალიფიციური პერსონალი (ძირითადად ოჯახის წევრები). რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი ადგილობრივი კომპანიების სიდიდე და საქმიანობის ხარისხის „დაბალი“ მაჩვენებლით იქნა შეფასებული.

ფოკუს ჯგუფში გამართული დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები (შესაბამისად ისეთი პროფესიები), რომლებშიც მომავალი 3 წლის განმავლობაში განხორციელდება ქართული თუ უცხოური ინვესტიციები, რაც დამატებით ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის და შრომის ბაზარზე დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობას განაპირობებს:

- მეცხოველე;
- ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი
- მეფუტკრე

ტურიზმის სფეროში ფოკუს ჯგუფის მიერ დასახელდა პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადი იქნება შრომის ბაზარზე და მათ დასაუფლებლად აუცილებელი იქნება ცოდნისა და უნარების გადაცემა:

- საოჯახო სასტუმროს მენეჯერი
- სასტუმრო/სარესტორნო მომსახურების სპეციალისტი
- მზარეული
- საფეხმავლო გამყოლი
- სამთო გამყოლი
- სამკურნალო ტურიზმის სპეციალისტი.

მესამე პრიორიტეტულ სფეროში (ინფრასტრუქტურული პროექტები) გამოიკვეთა შემდეგი პროფესიები:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალისტი
- შემდუღებელი
- მშენებლობის პროფესიები (ზეინკალ-სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი)

სამწუხაროდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მუნიციპალიტეტში არ არსებობს, რაც ამ ეტაპზე აღნიშნული პროფესიების მიხედვით კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების საშუალებას მოგვცემდა. ასევე სამწუხაროა ისიც, რომ პრიორიტეტული პროფესიების მიხედვით არ არსებობს პედაგოგიური კადრებიც. ასევე ძალზე მცირეა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს გაატარონ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა საკუთარი საწარმოს ბაზაზე.

ადგილობრივ მოსახლეობას (15 წლის ზემოთ და ზრდასრული) ექნება მზაობა ჩაერთოს სამივე პრიორიტეტული სფეროს პროფესიების როგორც სწავლების, ასევე მომზადება/გადამზადების პროცესში.